გაეროს უშიშროების საბჭოს **<u>რეზოლუცია 858 (1993)</u>**

1993 წლის 24 აგვისტო

უშიშროების საბჭო,

ეყრდნობა რა თავის 1993 წლის 9 ივლისის 849 რეზოლუციას, რომლითაც საბჭოს უნარჩუნდება უფლება, ცეცხლის შეწყვეტის განხორციელების შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება განალაგოს მეთვალყურეები,

მიესალმება რა 1993 წლის 27 ივლისის საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის ძალთა შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას,

ეყრდნობა რა თავის 1993 წლის 6 აგვისტოს 854 რეზოლუციას, რომლითაც დაამტკიცა 3 თვით მეთვალყურეთა მოწინავე ჯგუფის გაგზავნა,

განიხილა გენერალური მდივნის მოხსენება,

კვლავ ადასტურებს ადრინდელ განცხადებებს, კერძოდ, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1993 წლის 2 ივლისის განცხადებას (S\26032), რომლებშიც ხაზგასმულია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელშეწყობის განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობა,

ვარაუდობს, რომ საქართველოში კონფლიქტის გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას,

აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა იკისრეს აფხაზეთიდან ძალების გამოყვანის ვალდებულება და რომ ეს გამოყვანა ახლაც ხორციელდება,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1993 წლის 6 აგვისტოს (S\26250) მოხსენებას;

2. ადგენს, აღნიშნული მოხსენების შესაბამისად დააწესოს გაეროს მეთვალყურეთა მისია საქართველოში 88-მდე სამხედრო მეთვალყურისა და საქართველოში გაეროს მისიის დამხმარე მინიმალური რაოდენობის პერსონალის შემადგენლობით შემდეგი მანდატით:

ა) ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შესრულების შემოწმება, განსაკუთრებული ყურადღების მიექცეს ქ. სოხუმში არსებულ მდგომარეობას.

ბ) ცეცხლის შეწყვეტის დარღვევათა შესახებ შეტყობინებათა გამოძიება და კონფლიქტში ჩაბმული მხარეების ძალისხმევის გამოყენება ამგვარი ინციდენტების მოსაწესრიგებლად;

გ) მოხსენების წარდგენა გენერალური მდივნისათვის თავისი მანდატის განხორციელების თაობაზე, კერძოდ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევების ჩათვლით;

3. ადგენს, რომ გაეროს მეთვალყურეთა მისია საქართველოში წესდება 6 თვით იმ პირობით, რომ ის გაგრძელდება პირველ 90 დღეზე მეტი ხნით მხოლოდ გენერალური მდივნის მოხსენების საფუძველზე, საბჭოს მიერ ჩატარებული მიმოხილვის შემდეგ, იმის შესახებ, არის თუ არა მიღწეული არსებითი პროგრესი მტკიცე მშვიდობის დამყარების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა გზაზე;

4. სთავაზობს გენერალურ მდივანს შესაბამის ვადაში, მაგრამ 3 თვის განმავლობაში მაინც, წარმოადგინოს მოხსენება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის საქმიანობის შესახებ;

5. ადგენს, ჩაატაროს მუდმივი მიმოხილვა მანდატის განხორციელების იმ ოპერატიული ღონისძიებებისა, რომელსაც შეიცავს ეს რეზოლუცია, ნებისმიერი შემდგომი რეკომენდაციის შუქზე, რომელიც გენერალურმა მდივანმა შეიძლება გამოიტანოს ამასთან დაკავშირებით;

6. მიესალმება ქართულ-აფხაზურ-რუსული ქვედანაყოფების დროებითი საკონტროლო ჯგუფების განლაგების თაობაზე შემოთავაზებულ წინადადებას, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ცეცხლის შეწყვეტის განმტკიცებას და სთავაზობს გენერალურ მდივანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებლებისა და ამ ქვედანაყოფების თანამშრომლობას შესაბამისი მანდატის ფარგლებში;

7. მოუწოდებს ყველა მხარეს დაიცვან და შეასრულონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება, სრულად ითანამშრომლონ გაეროს მეთვალყურეებთან და უზრუნველყონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი პერსონალისა და საქართველოს ფარგლებში ყველა სხვა სამშვიდობო და ჰუმანიტარული პერსონალის უსაფრთხოება;

8. მოუწოდებს საქართველოს რესპუბლიკას დაუყოვნებლივ დადოს შეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ძალთა სტატუსის შესახებ, რათა ხელი შეეწყოს გაეროს მეთვალყურეთა მისიის განლაგებას;

9. სთავაზობს გენერალურ მდივანს, თავისი სპეციალური დესპანის მეშვეობით განახორციელოს ენერგიული ძალისხმევა სამშვიდობო პროცესისა და მოლაპარაკებების ხელშესაწყობად, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს და დამთავრდეს ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებით;

10. გამოხატავს თავის მუდმივ მხარდაჭერას გენერალური მდივნისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მოქმედი თავმჯდომარის თანამშრომლობისადმი საქართველოში და ამ რეგიონის სხვა ადგილებში მშვიდობის დასამყარებლად გაწეული ძალისხმევისათვის.

11. ადგენს კვლავ გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)